# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 288. კვირა, 6 თებერვალი 1905 წ. გაზეთის № 2725.

### სიმღერა

შინ ბრუნდებიან ღვთის მადლით,
ვინც დაგვირბოდნენ გარეთა
და თავის უკეთურობას
ეხლა ტირიან მწარეთა:
„დედავ, მიგვიღე შვილები,
უნდა მოგიგდოთ ყურიო;
სხვამ გაგვაბრიყვა, მის გამო
გულში ჩავიდეთ შურიო.
გვაწვდიდა სახრავს ლუკმასა,
მიტომ დავდევით წუნიო;
ეხლა იმედი მოგვეცა,
რომ შინა ვჭამოთ პურიო.
ჩვენც დავსტკბეთ, შენაც დაგიტკბოთ
მოხუცს სული და გულიო.
—ეჰა, რა გითხრათ, შვილებო,
თუ არ შეგრცხვებათ, რატომა?..
მაგრამ ეს მიკლავს უფრო გულს,
დღეს რა მიდგება აღდგომა,
მხოლოდ ეს არის მიზეზი,
შინ რომ გწადიანთ დადგომა.
რად მოხდა ასე? როდესაც
ლოგინად ვიწევ სნეული,
ვკვნესოდი ცრემლებს ვაფრქვევდი,
მიტოვებული, ეული;
წყლულებში აღარ მიჩანდა
გვემულ-ტანჯული სხეული.
თქვენ არ მიგდებდით მაშინ ყურს,
ვინ გაბრიყვებდათ წყეული?!
„კვდებაო“, გულში ამბობდით:
„თავს მანდილ-ჩამოხეული“.
მე გაპატიებთ, მიგიღებთ,
თუ ღმერთმაც ასე განსაჯა...
და გაპატიათ, მშობლისა
ორგული აღარ დასაჯა.

ვაჟა-ფშაველა.

### ზანაკში

**მოთხრობა უიდასი**

ყოველ დღე მამლის ყივილისას იღვიძებდა და დგებოდა სპოზა, მაგრამ დღეს ერთობ ეშინოდა, არ გამოჰპაროდა დრო, ამიტომ სრულიადაც აღარ დაწოლილა.

— შენც წამოხვალ?—დაეკითხა ის ქმარს.

— რა საჭიროა, სპოზა?—მართალია, ჩვენი შვილი კარგი ბიჭია, მაგრამ ხრა ღირს ოცდაათ ვერსის მანძილზე იმის სანახავად წასვლა, როცა პური აუღებელი გვაქვს და ყოველ წამს ცუდ ამინდს უნდა მოველოდეთ.



შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი
**ა. ბულიგინი.**

მძიმე ჯაფამ და სილარიბემ გაუქვავეს მამას გული და შვილისთვის, რომელსაც მან ამ ოცდა-ერთი წლის წინად სიცოცხლე მიანიჭა, ერთ სამუშაო დღესაც კი არ გაალცდენდა. ამისთანა სისულელის ჩადენა მხოლოდ დედა-კაცს შეუძლიანო.

— დიდი სისულელეც არის ამ სიშორედ წასვლა, სპოზა, დაუმატა მან.

სამხედრო უფროსის განკარგულებით დიდი ალლუმის შემდეგ ჯარი ზელვაში უნდა დაბანაკებულიყო დასასვენებლად და სპოზას აქ შეეძლო ენახა თავისი საყვარელი ბიჭიკო, ლურჯ-თვალებიანი დანიელი, რომელიც ჯარში გაყვანის შემდეგ აღარ უნახავს. წლი-ნახევრის განმავლობაში მხოლოდ ორი პაწია ჭუჭყიან ქაღალდის ნაკუწი მოუვიდა დედას თავის ნეილოსაგან. სთხოვდა, წერილი მომწერე ხოლმეო, ეს იყო და ეს, სხვა არა იცოდა რა დედამ შვილის შესახებ.



იუსტიციის ახალი მინისტრი **მანუხინი.**



პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი **ტრეპოვი.**

ნეილოს დედ-მამა პაწია ქვის ქოხს ილებდნენ იჯარით სასტიკ მებატონესაგან და, თუმცა ერთობ ხელ-მოკლედ



**პოდპორუჩიკი ალ. ი. გოგიტიძე,**
უკანასკნელ ბრძოლის დროს დაჭრილი მანჯურიაში.

სცხოვრობდნენ, თითქის მარტო ლობიოთი და წყალით იკვებებოდნენ, ოჯახში მაინც კეთილ-განწყობილება ჰქონდათ და ყოჩაღად იტანდნენ თავიანთ ხვედრს.

ერთხელ მეწვრილმანემ უამბო სპოზას, რომ აქედან ოც და ხუთი ვერსის მანძილზე ჯარი უნდა გაჩერდესო.

— თუმცა თქვენი წასვლა კი უნაყოფო იქნება: სად შეგიძლიათ იმდენ სალდათებში იცნოთ შვილი?—დაუმატა ვაჭარმა.

— შვილს ვერ ვიცნობ?—გადიხარხარა სპოზამ.

განშორება იგივე ღამეა, ღამე უსინათლო. მართალია, დედას უთხრეს, რომ შვილი დაბრუნდებაო, მაგრამ როდის?

რა ბედნიერი დღე იყო ის დღე, როცა მეწვრილმანე რიუფომ მრთელი ყუთი ძაფები, გრეხილები, ღილები და სხვა ამ გვარი რამეები ამოიტანა სოფელში გასასყიდად და უთხრა სპოზას:

— ტყუილად ვარწმუნებდი უქვენ შვილს, რომ ოცდაათი ვერსის გავლა ერთობ ძნელია თქვენი ფეხებისთვის, ის მაინც დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავეს: „უთხარით დედაჩემს, რომ მოვიდეს და მნახოს." მონდობილება ავასრულე დაჟ੍ხლა თქვენ იცით.

დედა ამ დროს მძივებს ასხამდა და წარბიც არ შეუხრია, მხოლოდ სახე გაუბრწყინდა.

— ყოველ შემთხვევაში, არ გირჩევთ წასვლას,—დაუმატა მეწვრილმანემ:—სამხედრო განკარგულება ხშირად იცვლება...

— როგორაა ჩემი შვილი, თქვენის აზრით?—დაეკითხა დედა.

— ცოტათი გამხდარა,—მიუგო მეწვრილმანემ.

დედა დააცქერდა მას.

— მშიერი კუჭის პატრონს რა გაასუქებს!

დედის გული შეკრთა, მან იცოდა, რომ ნეილო ჭავადაც რომ ყოფილიყო, არასოდეს არ იჩივლებდა.

ეს იყო დედისათვის ძილის გატეხის მიზეზი.—რომ არ ჩასძინებოდა, დადიოდა ოთახში და ქმარ-შვილის ძილის დროს სწნავდა ჩალის ქუდებს.

ივლისის შუა რიცხვებში მოკლე ღამეები იცის და როცა მთვარე გაივსება, თითქმის სრულიად აღარ ღამდება.

სპოზამ დაამზადა ქმარ-შვილისათვის საუზმე წყალ-წყალა ყავა და ხმელი პური, და დილის ოთხ საათზე გავიდა გარედ.

აღმოსავლეთი გაყირმიზებულიყო. გარიჟრაჟის ოდნავ ვარდის ფერი სინათლე სრულიად სხვა ნაირ ელფერს სდებდა და თითქმის ლამაზ შესახედაობას აძლევდა მიწის კლდიან ადგილებს.

ნეილოს დედა მხოლოდ ოცდა-თვრამეტის წლის დედაკაცი იყო, მაგრამ ერთი-ორად უფრო ხნიერი მოსჩანდა. იგი დააბერა მძიმე ჯაფამ. სქელი თმა სრულიად გასთეთრებოდა. მაგრამ ღრმად დაღარულ სახეს კიდევ შერჩენოდა ახალგაზრდა, წრფელი, წმინდა გამომეტყველება; ეტყობოდა, ოდესღაც ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო ამ სახის პატრონი, ეხლა კი გულ-მკერდი გახმობოდა, კბილები ჩასცვივნოდა და ჩავარდნილი ლოყები სრულიად დასჭკნოდა. ზაფხულის სიცხე-პაპანაქება, ზამთრის სიცივეები და ქარიშხალი, შემოდგომისა და გაზაფხულის ქარ-ბუქი ისე არ ერიდებოდნენ ამ უბედურს, როგორც გამხმარ ფოთოლს. ის მუდამ უსიტყვოდ, გულმოდგინეთ სთესდა, ხნავდა, მარგლიდა, რგავდა, ეზიდებოდა წყალსა და შეშას და შრომა ბოლოს ჩვეულებად გადაექცა.

სპოზამ იცოდა, რომ დასავლეთით მდებარეობს ზღვა, აღმოსავლეთით—ტოსკანიის ველები. იცოდა კიდევ, რომ პირუტყვნი და ადამიანნი ადგილობრივ გორაკებისა და წყაროების წყალობით იკვებებიან. ეს იყო და ეს იმისი ცოდნა და ამ ცოდნის პატრონი, პაწია პურის ყუთით ჯიბეში გაუდგა გზას. თანაც ბაღის დიდი დანა ჩაირჭო სარტყელში, რომ შემთხვევით ესარგებლნა, გზაში ბალახი მოეჭრა და დაბრუნებისას ზურგით შინ მოეტანა. საუკეთესო ყავისფერი კაბა და ყვითელი ზედატანი რომ არ გაფუჭებოდა, წინსაფარი აიფარა. მკლავები ნიდაყვებამდის აიკაპიწა, ხელში თავისი წაღები დაიჭირა, რომ არ დახეულიყო და ამასთან ბანაკში ჩასვლამდის სუფთადაც შენახულიყო და თავ-შიშველი გაუდგა გზას. შვილისათვის თეთრი პური და ცხვრის ყველი მიჰქონდა საჩუქრად და ცოცხლად, ყოჩაღად მიდიოდა. ზღვიდან მონაბერი მშვიდი ნიავი ეალერსებოდა მის მხიარულ სახეს.

დედას მოაგონდა ნეილოს ყმაწვილობა: ჯერ პაწაწკინა საგებებში გახვეული ბავშვი, რომელსაც იხუტებდა გულში, მოაგონდა მერმე როცა ცოტათი წამოიზარდა, როგორ სცდილობდა დედის ხელიდან გასხლტომას, როგორ ბორძიკობდა ფეხის ადგმის დროს. შემდეგ, როგორ ჩამოვარდა ერთხელ ხიდან, ფეხი მოიტეხა... როგორ ტიროდა დედილოს მკერდში ჩახუტებული. შემდეგ მოაგონდა, როგორ ეზიარა პირველად, როგორ უბრწყინავდა ამ დროს ბავშვს თვალები, თუმცა გამხდარი და წვრილი მოსჩანდა ჩითის პერანგში გამოწყობი-



ოსმალეთ-საბერძნეთის საზღვარი.—სიმაგრე და დარაჯნი.

ლი, (დედამ ამ შემთხვევისათვის თავისი საუკეთესო კაბა დაარღვია შვილის საპერანგეთ), მაგრამ მაინც ყრმა იესოსავით

მშვენიერი იყო იმისი ბიჭიკო. მზის სხივები თითქოს სინათლედ ეფინებოდნენ ნეილოს პაწია, ქერა თავს.

ასეთივე მშვენიერი დარჩა ნეილო სამუდამოდ: უმანკო, მორჩილი და უმცროსი ძმების მოსიყვარულე. მაგრამ აი შვილსა და დედას შუა მოულოდნელად ჩადგა სახელმწიფო და საცოდავი დედა მხოლოდ ღმერთს შესჩიოდა თავის დარდს და ავედრებდა თავის საყვარელს შვილს. ოცდაოთხი წლის შრომა და ზრუნვა დაიკარგა ტყუილად. მაგრამ არა, განა ის ეხლავე არ ნახავს თავის შვილს, —ეს ყველა ტანჯვისათვის სამაგიერო ჯილდო იქნება... მხოლოდ ერთი წუთითაც რომ დაინახოს შვილი, ისიც დიდი ბედნიერება იქნება დედისათვის. ან როგორ არ უნდა უყვარდეს ამისთანა კარგი შვილი? განა თითონ ნეილო არ ეხვეწებოდა დედას,—მოდი, მნახეო. დასვენების დროს დედის გაკეთებულ თეთრ პურს და ცხვრის ყველს შესჭამს. ოჰ, რა ნაირად ჩაიკრავს შვილს გულში „უთხარი დედა ჩემს, რომ მოვიდეს ბელვაში!“ იმეორებდა სანატრელ სიტყვებს, რომლის წყალობითაც ქვები რბილად ეჩვენებოდა ფეხებ ქვეშ და მზე არა სწვავდა.

აი გაიარა ტიტველა კლდეები და ეხლა ნაკუწ-ნაკუწა ბალახებით მოფენილ თიხიან ადგილებში მიდიოდა. მთელი მიდამო მაღაროებით იყო დასერილი. მექარხნეებს მადნები ამოეღოთ და ჭები კი ღია დაეტოვებინათ.

ამდენ ხანს არაფერი არ არღვევდა გზის მოსაწყენ ერთგვარობას. დროთი-დრო ცხვრის ფარა, პაწია ღარიბი საყდარი, ან სადგურისაკენ დაბრუნებული ფოსტის ეტლი თუ შეხვდებოდა წინ. მაგრამ უცებ დატვირთულ ჯორზე შემჯდარი ბერიკაცი გამოჩნდა. როგორ შეეძლო დედის გულს მოეთმინა და არ გაეზიარებინა იმისათვის გულითადი სიხარული.

— ჩემი შვილის შესახვედრათ მივდივარ,—უთხრა მან მგზავრს;—ბელვაში უნდა გაიაროს იმისმა პოლკმა,—თითონ მთხოვა, მნახეო.

— მომილოცავს: დიდი სიამოვნება მოგელით,—მიუგო ბერიკაცმა,—მე თითონ გამომიცდია სალდათობა და ვიცი, რა სიამოვნებაც არის მახლობელის ნახვა. მშვიდობით, დაო, ღმერთმა მშვიდობა და სიხარული მოგანიჭოთ!

მიწყნარდა ჯორის ფეხის ხმა და სიჩუმეს უწინდელივით მხოლოდ გომფაშოს შრიალი, მორიელთა ტკაცანი, მწერთა ბზუილი და ქვემძრომთ სრიალი არღვევდა. მცენარის ან ბალახის ხსენებაც არსად იყო. მოშორებით მოსჩანდა რამდენიმე სრულიად დამწვარი, დაბეჩავებული ფიჭვი და საკმლის ხე. ყველაფერი ამ ქვეყნიური დაავიწყდა დედას. დაავიწყდა სიცხე, დაღალვა, სულსა და გულში მხოლოდ ერთის ანატრელი აზრი უტრიალებდა, რომ ჩქარა შვილთან იქნება. გზაში პატარა ნაკადული შეხვდა. სპოზა ჩაცუცქდა. ამოაწო პური წყალში და დაიწყო ჭამა. როცა დანაყრდა, ისევ გაუდგა გზას. გზა ეხლა სოფელში მიდიოდა და დედას ისევ მოუნდა გამოეთქვა თავისი სასიხარულო გრძნობა და მიმართა ქოხის წინ მსხდარ გლეხებს.

— ოცდაათი ვერსი გამოვიარე და სრულიად არ დავღალულვარ. ბელვაში მივდივარ შვილის სანახავად; თითონ დამიბარა.

ბოლოს შორს ჰორიზონტზე გამოჩნდა ბელვას ხეობა და ირგვლივ ფიჭვის ტყე.

უცებ დედას საშიშარმა ფიქრმა გაურბინა თავში: ვაი თუ მეწვრილმანის სიტყვა გამართლდეს: განკარგულება გამოიცვალა და ჯარი აღარ მოვიდა ბელვაშიო. ერთის წუთით დაღონდა დედის გული, მაგრამ ძალა დაატანა თავის თავს და უსიამოვნო აზრი მოიშორა. ორ საათზე მიაღწია ტყეს. ფიჭვების ქვეშ თხელ ჩრდილში მოსჩანდა მინდვრის წვრილი მარწყვი. მწყე-



საერთაშორისო კომისია, რომელმაც უნდა მოახდინოს რეფორმები მაკედონიაში.

მსმა, რომელსაც სპოზამ ამბავი გამოჰკითხა, უამბო, რომ ჯარი ხეობაში დავტოვეო. ჩქარა თითონაც დაინახა თეთრ-ქუდიანი სალდათები. ყველანი რაღაცას ფუსფუსებდნენ, დარბოდნენ და დადიოდნენ აქეთ-იქით. დაინახა ზარბაზნები, თოფები და თეთრი კარვები. სწრაფად დაემხო დედა-მიწაზე, ღმერთს მხურვალე მადლობა შესწირა, საჩქაროდ ისევ წამოხტა და სირბილით დაეშვა დაღმართის მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ბილიკზე.

— ნეილოს დედა ვარ,—უთხრა მან პირველსავე სალდათს, როგორც კი მივიდა ახლოს ერთ პაწია ჯგუფთან:— ნეილომ თითონ დამიბარა. არ შეიძლება მაჩვენოთ სადაა ჩემი შვილი?

აღელვებული დედა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ჩქარა ლაპარაკობდა, თანაც ხალებით წინსაფრის გრეხილს ათამაშებდა და ხმაურობისაგან თავბრუ ესხმოდა. ამასთან გულში შიში ეპარებოდა, ვაი თუ ამისთანა არეულობაში, მართლა ვერ ვნახო ჩემი შვილიო.

სალდათებმა მასხარად აიგდეს. ის წავიდა ეხლა სხვაგან, მაგრამ ყველგან ან დასცინოდნენ, ან უწყრებოდნენ და აგდებდნენ, დედა მაინც არ იტეხდა გულს და ყველას ეკითხებოდა. რამდენჯერმე წამოჰკრა ფეხი ტომრებს და სხვა-დასხვა იარაღს. ბოლოს არტილერიის ერთს ბატარეასთან მიაღწია. უზარ-მაზარი დაბორკილი ცხენები სძოვდნენ მტვრიან ბალახს; ხალხი კი თავს იქცევდა ჭიდაობით. საშინელმა ზრიალმა, ყვირილმა და ხმაურობამ სრულიად გამოაყრუა საცოდავი ქალი.

ბატარეაზე ერთი გულკეთილი სალდათი აღმოჩნდა და აუხსნა, რომ აქ სამი ბატარეა და კავალერიის ერთი პოლკი იყო დაბანაკებულიო. ეს სალდათი თურმე იცნობდა დანიელს, რომელიც ქვეითა ჯარში აქედან ერთ ვერს-ნახევრის სიშორეზე იდგა. მრავალი მადლობა გადაუხადა იმას დედამ და შვილის სიახლოვით გახარებული გაეშურა გზისაკენ. დარაჯები ხარხარებდნენ იმის გატენილ ჯიბეების დანახვაზე, მაგრამ საწყალი დედა ღიმილით ეუბნებოდა მათ:

— ეს თეთრი პური და შინაური ყველია. ჩემი შვილისთვის მიმაქვს.

ბოლოს, როგორც იყო, მიატანა ქვეითა ჯარს. სალდათები აქაც ირეოდნენ, დადიოდნენ წინ და უკან, ეზიდებო-

დნენ წყალს, შეშას და ხარშავდნენ შექამადს. ყველაზე უფრო სპოზას ყურადღება დიდ ფიქვის ქვეშ აფიცრების ჯგუფმა მიიზიდა. აფიცრები ჩუმად და დინჯად რაღაცაზე საიდუმლოდ ლაპარაკობდნენ.

ქალი ახლოს მივიდა: სახე სრულიად ანთებოდა და დაჭიმული ძარღვები თითქოს დაწყვეტას ლამობდნენ. რამდენიმე ახალგაზდა სალდათი დაღონებული შესცქეროდა იქვე წაბლის ჩრდილში გულ-აღმა გაშოტილ სამ ამხანაგს.

ერთბაშად რაღაც შიშმა აიტანა საცოდავი დედა.

— რა დაემართა ამათ, ავად არიან? — იკითხა იმან.

— არა, დედავ, დაიხოცნენ... ორმოცდა ხუთი ვერსის გავლა ამისთანა სიცხეში... ხუმრობა კი არ არის...

შეშინებული დედა დაიხარა, ასწია ერთი მეორის შემდეგ ცხედრებზე გადაფარებული ზეწარი და თავისი ნეილო კი იცნო.

აი, როგორ ნახა დედამ თავისი საყვარელი შვილი.

**ნინო ნაკაშიძე.**




რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი